

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

№ 12

ახალი ამბები
საქართველოს ეთნომუსიკალური
ცხოვრება

ტრადიციული მრავალხმიანობის
საერთაშორისო სიმპოზიუმი

გიორგი გარაყანიძის გახსენება

უცხოური მრავალხმიანობა
ლაკალაკა – გუნდური მრავალხმიანი
ცეკვა-სიმღერა ტონგაში

ქართველ ბავშვთა ფოლკლორული
ანსამბლები
„ამერ-იმერი“, „კირიალესა“, „ნაი-ნაი“

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი
„კიტკა“ – კულტურული აღმოჩენები
მრავალხმიანი სიმღერის საშუალებით

ქართული სიმღერის მოამაგეები
სულიკო ციმაკურიძე

ჰერული მუსიკალური ფოლკლორი

უცხოელები ქართული ფოლკლორის
შესახებ
პოლონელი ეთნომუსიკოლოგის ერთი
წერილის შესახებ

ქართული მეცნიერებისა და
კულტურის კერები
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის
დეპარტამენტი

ახალი გამოცემები
ტრადიციული მუსიკა ქართულ-
აფხაზურ დიალოგში

ძველი პრესის ფურცლებზე
გრიგოლ ჩხიკვაძე.
ხალხური მუსიკისა და პოეზიის
ურთიერთობა

ერთი სიმღერის ისტორია
„შაფო ყურშაო“

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება (იანვარი-ივნისი, 2012)

ფესტივალები და კონფერენციები

27.04.2010 – თბილისის სახ. კონსერვატორიის მუზეუმში გაიმართა III საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „დიდგორმა“ და „სახიობამ“.

12.05.2012 – ქ. ბოლნისში გაიმართა მულტიეთნიკური საერთაშორისო ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „მე რუსთველი“ და „თუთარ-ჩელა“.

16-20.05.2012 – ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო პოლონეთში, ქ. ბიალისტოკში გამართულ, მართლმადიდებლური გალობის საერთაშორისო ფესტივალში „ჰაინუკა“ და მოიპოვა მესამე ადგილი პროფესიონალ მგალობლებს შორის.

18.05.2012 – ფოლკლორისა და ტრადიციული ხელოვნების ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭოს (CIOFF) საქართველოს კომიტეტმა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ გამართა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენცია. რომელიც დამთავრდა ქართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტით.

25.05.2012 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა გამართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქართული მრავალხმიანობა და/ან შუა საუკუნეების ევროპული პოლიფონია“.

კომპაქტ-დისკები, მასტერ-კლასები, სტუდიების გახსნა და სხვა

2012 წლის იანვარი – გამოვიდა ანსამბლ „ბასიანის“ ახალი აუდიო ალბომი, რომელიც საფრანგეთის რადიოს – Ocora Radio France-ის მიერ ექსკლუზიურად გამოიცა.

2012 წლის მარტი – ანსამბლმა „რუსთავმა“ ჩაწერა ახალი CD.

23.05.2012 – სტუდია „ბრაგოში“, ქართული ტრადიციული მუსიკის ანსამბლებმა („ანჩის-ხატის ტაძრის გუნდი“, „სახიობა“, მამა დავითის ტაძრის გუნდი, „ბასიანი“, „დიდგორი“, „იალონი“ და სხვა) ჩაწერეს CD კარბელაშვილების ალბომისათვის.

2012 წლის ივნისი – ქ. ლონდონში, სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა ფონდი „ქართული გალობა“, რომლის მიზანია ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის აღორძინების ხელშეწყობა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (ფონდის დამაარსებელი – ქართველი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი).

ექსპედიციები

2012 წლის იანვარი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი ფილოლოგ მართა ტარტარაშვილთან ერთად იმყოფებოდა ჰერეთში (კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები).

13-16.04.2012 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი თეონა ლომსაძე იმყოფებოდა ექსპედიციაში მთის რაჭის სოფლებში: ღებში, გლოლასა და ჭიორაში.

3-10.06.2012 – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი ფილოლოგ მართა ტარტარაშვილთან ერთად იმყოფებოდა ჰერეთში (აზერბაიჯანში კახისა და ზაქათალის რაიონები).

გასტროლები

18.04.2012 – ანსამბლმა „ბასიანმა“ სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდთან ერთად პარიზში, დარბაზში Salle Pleyel, გამართა კონცერტი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის 80 წლისთავს.

ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: ესტონეთში, იტალიაში, ესპანეთსა და მოლდავეთში (2012 წლის იანვარი); ავსტრიაში და ნორვეგიაში (2012 წლის მაისი); ბელგიაში და ჰოლანდიაში (2012 წლის ივნისი).

7-12.05.2012 – ანსამბლი „მე რუსთველი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა უკრაინაში (ქ. ქერჩში), სადაც მონაწილეობა მიიღო ქართული ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

კონცერტები და საღამოები

2012 წლის იანვარი – ანსამბლმა „რუსთავმა“ გამართა სოლო კონცერტები თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში.

11.02.2012 – ანსამბლმა „მე რუსთველი“ სოლო კონცერტი გამართა ქ. რუსთავის ცენტრალურ მოედანზე.

12.01.2012 – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა საშობაო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მგალობელთა გუნდები და ფოლკლორული ანსამბლები: „იალონი“, „სახიობა“, „აღსავალი“, „დიდგორი“, „ნადი“, წმ. ასი ათას მოწამეთა ტაძრის ვაჟთა გუნდი, კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლი, ვაჟთა გუნდი „შერეკილები“.

13.02.2012 – ანსამბლმა „თუთარჩელამ“ სოლო კონცერტი გამართა ქ. რუსთავის ცენტრალურ მოედანზე.

20.02.2012 – წმ. სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა ქართული ტრადიციული მუსიკის საქველმოქმედო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მგალობელთა გუნდებმა: „აღსავალი“, „იალონი“, „სახიობა“, „დიდგორი“ და ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „ამერ-იმერი“, „ფერხისა“, „კირიალესა“.

9.05.2012 – თბილისში, „სამეფო უბნის თეატრში“, ესტონეთის საელჩოს ხელშეწყობით, ჩატარდა ევროპის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელიც, ესტონელებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „დიდგორმა“.

13.05.2012 – ქ. კასპში ჩატარდა სააღდგომო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „სახიობამ“ და „დიდგორმა“.

19.05.2012 – თბილისის საკრავების მუზეუმში გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა „ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში“. რომელიც მუსიკალურად გააფორმეს ქალთა ანსამბლმა „ნანინამ“ და მგალობელ ვაჟთა გუნდმა „სახიობამ“.

2012 წლის მაისი – ანსამბლმა „რუსთავმა“ გამართა სოლო კონცერტები ბათუმში.

ახალი გამოცემები

2012 წლის იანვარი – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ გამოსცა ვლადიმერ გოგოტიშვილის შრომების კრებული „ქართული ხალხური მუსიკის თეორიული საკითხები“ (შემდგ.: ნ. ნაკაშიძე, რედ.: დ. არუთინოვ-ჯინჭარაძე, გ. ტორაძე).

2012 წლის მაისი – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ გამოსცა ო. ჩიჯავაძის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, რომელსაც თან ახლავს ამავე ღონისძიებასთან დაკავშირებული ფოლკლორული კონცერტის კომპაქტ-დისკი.

მოამზადა მკაც ხარძიანმა

ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი

მოახლოვდა თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი – უკვე 30-მდე უცხოელი მეცნიერის მოხსენებაა შეტანილი სამეცნიერო სესიების პროგრამაში, ემზადებიან ქართველი მეცნიერებიც.

როგორც ცნობილია, სიმპოზიუმები ტარდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. მათ ამზადებს კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი და მისი საზღვარგარეთული ბიურო ავსტრალიაში, რომელსაც პროფ. ი. ჟორდანიას წარმოადგენს.

თბილისის სიმპოზიუმი გადაიქცა უდიდესი მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო მოვლენად, რომელიც პირდაპირ პასუხობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას და წარმოადგენს O'UNESCO-ს მიერ 2001 წელს კაცობრიობის ზეპირი ტრადიციის ხელთუქმნელ შედეგად აღიარებულ ელემენტზე – ქართულ პოლიფონიაზე – სახელმწიფოს ზრუნვის გამოხატულებას.



სანამ მომავალ ფორუმს შევეხებოდე, მინდა აღნიშნო, რა მოგვცა უკვე ჩატარებულმა ხუთმა სიმპოზიუმმა. საზოგადოდ, ნებისმიერი მოვლენის მასშტაბი და მნიშვნელობა მისი შედეგებით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ყურადღებას იმსახურებს თბილისის I-V (2002-2010 წწ.) სიმპოზიუმებში მონაწილე მეცნიერების წარმომადგენლობა, რაც მოიცავს ავსტრალიას, ავსტრალიას, აშშ-ს, ბულგარეთს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთს (ინგლისი და შოტლანდია), ესპანეთს, ესტონეთს, იაპონიას, ისრაელს, იტალიას, კანადას, ლატვიას, ლიტვას, მაკედონიას, ნიდერლანდებს, ნორვეგიას, პოლო-

ნეთს, რუსეთს (საკუთრივ რუსეთი და ადიღე), საფრანგეთს, სერბიას, სლოვენიას, ტაივანს, უკრაინას, შვეიცარიას, შვედეთს, ხორვატიას.

სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამებში მონაწილეობდნენ ანსამბლები: საქართველოდან, ავსტრალიიდან, აზერბაიჯანიდან, ამერიკიდან, დიდი ბრიტანეთიდან, დიდი ბრიტანეთი/შოტლანდიიდან, თურქეთიდან, იაპონიიდან, ირანიდან, კანადიდან, ნიდელანდებიდან, საფრანგეთიდან, საფრანგეთი/კორსიკიდან, საფრანგეთი/ბასკეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიიდან.



საგულისხმოა, რომ სიმპოზიუმი დიდ ენთუზიაზმს იწვევს ამ ანსამბლებში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქართული კულტურის დესპანები არიან საკუთარ ქვეყნებში, სადაც მონაწილეობენ სხვადასხვა, მათ შორის საქართველოს საელჩოების მიერ გამართულ ღონისძიებაში, ასრულებენ ქართულ მრავალხმიან სიმღერა-გალობას და, რაც მთავარია, ყოველ მეორე წელიწადს საკუთარი ხარჯებით ჩამოდიან სიმპოზიუმის კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად.



გასულ სიმპოზიუმებზე ქართულთან ერთად შესრულდა: ოსური, აფხაზური, ჩეჩნური, ბასკური, კორსიკული, ლატვიური,

ლიტერული, ავსტრიული, ბულგარული მრავალხმიანობა.

ჩვენ განსაკუთრებით გვკმაყვება, რომ სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები: ლიტერ ტენსენი, ტიმ რაისი – აშშ, სიმპა არომი – საფრანგეთი, იზალი ზემცოვსკი – აშშ/რუსეთი, პოლო ვალეჰო – ესპანეთი, ფრანც ფოიდერმაირი – ავსტრია, იოსებ ჟორდანი – ავტრალია/საქართველო, ჰუგო ზემპი – შვეიცარია და სხვ. მათ შორის, ჟორდანი, არომი, ზემცოვსკი არიან ეთნომუსკოლოგიაში უმაღლესი – ფუმიო კოიცუმის პრემიის ლაურეატები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პროფესორ იზალი ზემცოვსკის – დიდ მეცნიერს, ქართული კულტურის დიდ მეგობარსა და მოამბეს მივულოცო ეს პრემია, რომელიც მას სულ ახლახან – 2012 წლის მაისში გადაეცა იაპონიაში.

აღბათ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ სიმპოზიუმებამდე უნიკალურ ქართულ მრავალხმიანობას მსოფლიოში მხოლოდ პრაქტიკულად – სხვადასხვა ანსამბლის შესრულებით იცნობდნენ. 2002 წლიდან, სიმპოზიუმების შემდეგ, აღორძინდა უცხოელი მეცნიერების შესუსტებული ინტერესი ამ ფენომენისადმი. სიმპოზიუმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი არის მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში უკვე საბოლოოდ დამკვიდრებული აზრი ქართული მრავალხმიანობის ადგილობრივი წარმოშობის, მისი სტილური და ფორმების მრავალფეროვნების შესახებ. უცხოელი მეცნიერები უკვე უწყობანოდ აღიარებენ, რომ საქართველო მსოფლიოს უნიკალური ქვეყანაა, რომლის პატარა ტერიტორიაზე მრავალხმიანობის ყველა იმ ტიპის ცოცხალ გამოვლენას ვხვდებით, რაც კი ბუნებაში არსებობს, რის გამოც მას განსაკუთრებულ ადგილს მიაკუთვნებენ თანამედროვე მსოფლიოში (ზემცოვსკი).



უცხოელ მეცნიერთა დაინტერესებაზე მეტყველებს მათ მიერ თბილისის სიმპოზიუმებზე წაკითხული მოხსენებები ქართულ მრავალხმიანობაზე. გასულ ხუთ სიმპოზიუმზე მათმა რიცხვმა 35-ს მიაღწია.

სწორედ ჩვენი სიმპოზიუმების დამსახურებაა ეთნომუსიკოლოგიისათვის კარგად ცნობილი მეცნიერების სიმპა არომისა და პოლო ვალეჰოს მჭიდრო თანამშრომლობა ქართულ ანსამბლ „ბასიანთან“, რასაც 2008-2010 წლებში მოჰყვა მათ მიერ ორგანიზებული ლექცია-კონცერტები იტალიაში, ესპანეთსა და ინგლისში. ისინი აუდიტორიას მოუთხრობდნენ ქართული მრავალხმიანობის საოცრებებზე, „ბასიანი“ კი ამ „საოცრებების“ დემონსტრირებას ახდენდა, რის შემდეგ დიდი კონცერტი იმართებოდა. ეს აქტივობა დაგვირგინდა 2010 წელს „ბასიანის“ მონაწილეობით ფესტივალში „ბახი და პოლიფონია“ აშშ-ს ლინკოლნ-ცენტრში. ეს მეცნიერები აქტიურად თანამშრომლობენ აგრეთვე ახალგაზრდა ქართველ მკვლევრებთან, მიმდინარეობს ერთობლივი კვლევები.

თბილისის სიმპოზიუმმა დიდი სტიმული მისცა მსოფლიოში მრავალხმიანობის ინტენსიურ კვლევას. თბილისის 2002 წლის I სიმპოზიუმში 90-იანი წლებიდან პირველი იყო, რომლის შემდეგ დაიწყო მსგავსი სამეცნიერო ფორუმების ჩატარება ევროპაში. თუმცა თავისი ფორმატითა და თემატიკის მრავალფეროვნებით, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის მრავალხმიანობის წარმოჩენით, ჩვენი სიმპოზიუმები კვლავ გამორჩეულ ადგილს ინარჩუნებს.

მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგების სტუმრობა საქართველოში მხოლოდ სიმპოზიუმებით არ შემოიფარგლება – ტრადიციად იქცა მათი შეხვედრები და ლექციები სტუდენტებთან. ამ შეხვედრებზე ისინი დაინტერესებულ ახალგაზრდებს უფრო დაწვრილებით აცნობენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს, საკუთარ კვლევებსა და ეთნომუსიკოლოგიაში მიმდინარე პროცესებს.

გარდა ამისა, თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმში არის ბრწყინვალე შესაძლებლობა ქართველი ეთნომუსიკოლოგებისათვის, უშუალოდ ჩაერთონ მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიურ პროცესებში, ეს ფორუმი უკვე იქცა ერთ-ერთ მეტად პრესტიჟულ ტრიბუნად, საიდანაც ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგები მასშტაბურად წარმოაჩენენ ქართული მრავალხმიანობის პრობლემებს მსოფლიო მრავალხმიანობის კონტექსტში.

ჩვენ ვცდილობთ, ყოველ სიმპოზიუმს თავისი სახე ჰქონდეს. მაგალითად, V სიმპოზიუმის მონაწილეებს შევთავაზეთ

ფილმები მრავალხმიანობაზე – ეთნომუსიკოლოგისა და ცნობილი რეჟისორის ჰუგო ზემპის „სვანური ზარი“, „თამარისა და ლაშარის დღესასწაული“ და „ჩერიანას მრავალხმიანობა: საკოს ჯგუფი“ და სოსო ჩხაიძის ფილმი „გურული სიმღერა“. 2012 წლის სიმპოზიუმზე ასევე დაგეგმილია ფილმები ალბანურ, იტალიურ და ვაგოგოს ხალხის მრავალხმიანობაზე.

გარდა ამისა, სიმპოზიუმის ფარგლებში, უცხოელი მეცნიერების თაოსნობით იმართება ორი მრგვალი მაგიდა. ერთი არის გამოსატყულება მათი ინტერესისა ქართულ-ევროპული მრავალხმიანობის შედარებითი შესწავლისადმი, ხოლო მეორე – მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემისადმი, რომლის კვლევა უკანაენელ ხანს სწორედ ქართველი ეთნომუსიკოლოგის იოსებ ჟორდანიას კვლევების წყალობით გააქტიურდა.

VI სიმპოზიუმის მონაწილე მეცნიერებს კვლავ შევთავაზებთ ერთდღიან კულტურულ პროგრამას, რაც ჩვენს უცხოელ მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს, დაისვენონ და გაეცნონ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს. გარდა ამისა, 2012 წელს პროფ. ი. ჟორდანიას სიმპოზიუმის დაწევაამდე გეგმავს უცხოელების მრავალრიცხოვანი ჯგუფის ჩაყვანას სვანეთში, რომელიც ჯერჯერობით ისევ რჩება ტრადიციული კულტურის მატარებლებით გამორჩეულ კუთხედ. 2012 წლის სიმპოზიუმის ერთ-ერთი მიმზიდველი მხარე კვლავ იქნება მისი საკონცერტო პროგრამა ქართული და მსოფლიოს ხალხთა მრავალხმიანობის ფართო სპექტრით.

წავლო კურსს უცხოელებისათვის ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში.

რუსუდან წურჭუბია

*მრავალხმიანობის კვლევის
საერთაშორისო ცენტრის*

დირექტორი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

პროფესორი



სიმპოზიუმის მოხსენებების კრებულები განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე www.polyphony.ge. ის ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ ერთ-ერთი რეიტინგული ვებ-გვერდია. აქვე ვიტყვი, რომ სწორედ თბილისის სიმპოზიუმების დამსახურებაა, რომ ჩვენი ცენტრი უკვე მეორე წელია ახორციელებს მოკლევადიან (10 თვიან) სას-

გიორგი გარაყანიძის გახსენება



2012 წლის 11 ივნისს ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას მეხვიით დაეცა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგის, ანსამბლ „მთიებისა“ და სტუდია „ამერ-იმერის“ ხელმძღვანელის გიორგი (გიგი) გარაყანიძის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი. საყოველთაოდ ცნობილი ფოლკლორისტის, ედიშერ გარაყანიძის ვაჟი, უფლის წყალობით, სასწაულებრივად გადაურჩა 16 წლის წინ მომხდარ ავტოკატასტროფას, რომელსაც მისი მშობლები და უფროსი და ემსხვერპლნენ. მაშინ გიგის იმედად დარჩა ედიშერის ყველა წამოწევა და ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ იგი ღირსეულად გააგრძელებდა მამის გზას.

ასეც მოხდა: „მთიები“ კვლავ ფეხზე დადგა, „ამერ-იმერში“ თაობები გაიზარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ექსპედიციები განახლდა, შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე სოფლებში კარდაკარ ჩამოვლის ტრადიცია გაგრძელდა. პარალელურად, შეიქმნა მეცნიერული ნაშრომი „ქართული ეთნომუსიკის თეატრი და მისი საწყისები“, რომელმაც ცხადყო ქართული ტრადიციული მუსიკისადმი გიგის ედიშერისეული დამოკიდებულება. ედიშერ გარაყანიძემ თავისი ნაშრომების უმრავლესობა გამოუქვეყნებელი, ხელნაწერების სახით დაგვიტოვა, რაც წლების მანძილზე პრობლემას უქმნიდა ქართული ფოლკლორის შემსწავლელ მეცნიერებს. გიგიმ ეს საქმეც მოაგვარა: მისი უდიდესი ძალისხმევით წიგნად გამოიცა ედიშერის ყველაზე ფუნდამენტური ნაშრომები. მხოლოდ ეს ჩამონათვალიც საკმარისია, რომ ადამიანმა ვალმოხდილად იგრძნოს თავი შენი ქვეყნისა და წინაპრების წინაშე, თუმცა, გარდა ამისა, გიგი გარაყანიძე საოცარი

ადამიანური თვისებებითაც იყო დაჯილდოვებული. ის დინჯი, მოზომილი, ტაქტიანი, გულისხმიერი, ერთგული, ყურადღებიანი და ჭეშმარიტი ქართველი ვაჟკაცის ყველა ღირსების მატარებელი ადამიანი იყო, რომლის გვერდით მყოფს გეამაყებოდა ქართველობა.



ანსამბლ „მთიებთან“ ერთად

თავისი ასაკის მიუხედავად (გიგი მხოლოდ 30 წლის იყო), იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და, საბედნიეროდ, დაგვიტოვა მემკვიდრე – პატარა ილია, რომელიც, იმედია, ღირსეულად გააგრძელებს გარაყანიძეების გზას.

გიგის კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი, მრავალ პროექტში მონაწილეობდა და ამათვის ერთ-ერთი ტრადიციული მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი იყო – უკვე თეზისებიც მოგვაწოდა და მისგან დღედღეზე მოხსენების ტექსტსაც ველოდებით. . . .

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და იმედოვნებს, რომ მარადისობაში გადასული ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელი დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობა.

*ტრადიციული მრავალხმიანობის
კვლევის საერთაშორისო ცენტრის
სახელით,
მაკა ხარბიანი*

უცხოური მრავალხმიანობა

ლაკალაკა – გუნდური მრავალხმიანი ცეკვა-სიმღერა ტონგაში

2003 წელს იუნესკომ ქართულ მრავალხმიანობასთან და სხვა ზოგიერთ ხალხურ მუსიკალურ ტრადიციასთან ერთად არამატერიალური კულტურის შედევრად აღიარა ტონგოური ლაკალაკა – გუნდური სიმღერა ცეკვით.

ტერმინი „ლაკალაკა“ ითარგმნება, როგორც „ცოცხლად და გულმოდგინედ სიარული“. ლაკალაკას წინაპარია ცეკვები: მე'ელა'უფოლა – კაცთა ცეკვა ნინებით და ფა'აპიულა – ქალთა ცეკვა ხელების რთული შესტიკულაციით. მე'ელა'უფოლა სრულდებოდა მამაკაცთა მიერ, რომლებიც წრიულად ეწყობოდნენ, ხოლო წრის შუაში სოლისტები მუსიციერდნენ ინსტრუმენტების თანხლებით, მომავალში ინსტრუმენტები თანდათან განიდევნა, ხოლო ცეკვაში ქალებიც ჩაერთნენ. 1880-იან წლებში ძველი ტონგოური ცეკვების ილეთებისა და მოტივების აღორძინებაში დიდი როლი მიუძღვის საზოგადო მოღვაწეს, მეთოდისტს, მისიონერს ტუკუაჰოს.

ლაკალაკა, როგორც ღონისძიება, ძირითადად, საზეიმო დღეებში იმართება - მეფის დაბადების დღეს, სასოფლო დღესასწაულის დროს ან მნიშვნელოვანი შენობის (ეკლესიის ან სახელმწიფო დაწესებულების) გახსნისას. ლაკალაკას ტექსტი ყოველ ჯერზე თავიდან იწერება და ტრადიციულ მელოდიებზე იმღერება.



ლაკალაკას მთელი სოფელი ასრულებს, ზოგჯერ – 400 შემსრულებლამდე. მღერა, ცეკვა და მხატვრული კითხვა 20 წუთიდან ერთ საათამდე გრძელდება. საერთო გუნდი

ორ ნაწილად იყოფა: მარჯვნივ ქალები დგანან და მარცხნივ – კაცები. ცენტრთან ახლოს პრივილეგებული მოქალაქეები თავსდებიან (რომელთაც ვაჰენგა ეწოდებათ). საზოგადოდ, სოლისტებს სიმღერასა და ცეკვაში განსაკუთრებული ადგილი და წოდება აქვთ.



ქალებისა და მამაკაცების მოძრაობები განსხვავებულია. ქალები ძირითადად ხელების გრაციოზული მოძრაობებით „ცეკვავენ“, ფეხით მხოლოდ ერთი-ორ ნაბიჯს დგამენ. მამაკაცების მოძრაობები (ჰაკა) უფრო ენერგიულია, მათ შეუძლიათ დასხდნენ, ადგნენ, დაწვნენ. თუმცა სიტყვიერი ტექსტის ხელეობით, შესტიკულაციით გადმოცემა ლაკალაკას პლასტიკის მთავარი მახასიათებელია.

მეტად ფერადოვანია შემსრულებელთა ჩაცმულობა. გირღანდებთან და სამაჯურებთან ერთად მნიშვნელოვანია ბუმბულიანი ქუდები ტეკიტეკი (tekiteki).

ლაკალაკას ინსტრუმენტული თანხლება ან საერთოდ არ აქვს, ან – ძალიან მწირი. ძირითადად დოლზე, ან ორი ჯოხის ერთმანეთზე დარტყმა გამოყენებული. ხშირია მოძრაობის რიტმის ტაშით ხაზგასმა. ლაკალაკას რიტმი ძირითადად ორწილადაა. შესრულების პროცესში ტემპი და ემოციები თანდათან მატულობს. ქალთა და მამაკაცთა მოძრაობები პოლიტირებულია, თუმცა ინარჩუნებს ძირითად მეტრულ რეგლამენტს. ცეკვას ხელმძღვანელობს სოლისტი პუნაკე, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის ქორეოგრაფიც, პოეტიც და კომპოზიტორიც. გუნდი ხოტბას ასხამს სამეფო ოჯახს, სოფლის თავკაცებს, გადმოსცემს ლეგენდებს, ისტორიულ ამბებს ტონგას შესახებ.

ლაკალაკას მრავალხმიანობა ქორდული, სინქრონული ტიპისაა. მასში ევროპული ჰარმონიის ზეგავლენა შეიმჩნევა. გაგრძელებული აკორდული ხმოვანება, ძირითადად, სამხმოვანების ბგერებს ეყრდნობა. გუნდი, უმ-

თავრესად, ოთხხმიანია (ლიდერი ხმა ფასი – *ფასი*, მომღვწე – კანოკანო – *kānokano*, მე-სამე – ტენოა – *tēnoa* და ბანი – *laulalo*); შეიცავს ჰეტეროფონიის ელემენტებს; ხშირია ოქტავური გაორმაგებებიც. *ლაკალაკას* კილოში შეიმჩნევა პენტატონიკის ელემენტებიც. ზედა ხმას ასრულებენ, როგორც ქალები (უმეტესად), ისევე, კაცები. მელოდია რიტმულად მარტივია და დიდ დიაპაზონს არ მოიცავს. თითო ბგერას უმეტესად თითო სიტყვიერი მარცვალი შეესაბამება და, ამის გამო, *ლაკალაკას* სტილს მოიხსენიებენ, როგორც „სასიმღერო რეჩიტატივს“.

ქართველ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები

„ამერ-იმერი“



ლაკალაკა ტონოელების ერთ-ერთი გამაერთიანებელი კულტურული ფაქტორია, რომლის მეშვეობითაც ეს ხალხი უცხოეთშიც ახერხებს კომპაქტურ საზოგადოებად შეკვრას.

თამაზ ვაბისონია
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ახოცირებული პროფესორი

1991 წელს ედიშერ გარაყანიძემ მეუღლესთან – ენათმეცნიერ ნინო ბაღათურასთან ერთად დააარსა საქმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერი“. ნინო ბაღათურას მიერ სტუდიისთვის საგანგებოდ შეიქმნა სასწავლო კურსი „სამშობლოსმცოდნეობა“, რომელსაც დაემყარა სტუდიის მუშაობა: მთავარი მიზანია ბავშვის აღზრდა ჰარმონიულ პიროვნებად, რისი საწინდარიც მისი მშობლიურ ნიადაგზე დაყენებაა. სტუდიაში ეს უმთავრესად მუსიკალური ფოლკლორის საშუალებით ხორციელდება; აქვე ბავშვებს ექმნებათ ის გარემო, რომელიც დამახასიათებელია ქართული ტრადიციული ყოფისთვის: ბავშვები სწავლობენ წინაპართაგან საუკუნეებში გამოტარებულ ტრადიციულ ქართულ საბავშვო თამაშობებს, აუთენტიკურ სიმღერებსა და ცეკვა-ფერხულებს; ეცნობიან საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიას, მითოლოგიას, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს; სწავლობენ საეკლესიო საგალობლებსა და საღვთო სჯულს; ეცნობიან საქართველოში გავრცელებულ ტრადიციულ დარგებს. ბავშვები მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სტუდიის მიერ მოწოდებულ ექსკურსიებსა და გრძელვადიან ექსპედიციებში, სადაც მათთვის პრაქტიკულად ცოცხლდება სტუდიაში მირებული თეორიული ცოდნა. სხვაგვარად, სტუდიაში ხდება ხალხური მემკვიდრეობისადმი კომპლექსური მიდგომა.

ამის შედეგია, რომ საუკუნეობრივ ტრადიციას ზიარებული ბავშვები სიმღერებს ასრულებენ უდირიჟოროდ, თავისუფლად, სწორედ ისე, როგორც მათი თანა-

ტოლები მღეროდნენ სოფლად საუკუნეების განმავლობაში; ქმნიან საკუთარ სტუდიურ ფოლკლორს – სიმღერების იმპროვიზაციულ ვარიანტებს, თამაშობებს, ენის გასატეხებს, გამოსაჯავრებლებს და სხვ.



„ამერ-იმერი“ მართავს წარმოდგენებსაც როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1994 წელს გერმანიის საერთაშორისო ფესტივალზე „ამერ-იმერი“ ევროპის საუკეთესო სტუდიად აღიარეს სპეციალისტებმა, რის საფუძველზეც „ლოიხე ბანკი“ მას წლების განმავლობაში უწევდა თანადგომას; 2002 წელს „ბი-ბი-სის“ მიწვევით სტუდია იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, სადაც მონაწილეობდა „საერთაშორისო კონცერტი 2002“-ში, მისი გამოსვლები და ქართული სიმღერის გაკვეთილები გადაიცა „ბი-ბი-სის“ ტელე და რადიოარხებით (BBC 2002).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით „ამერ-იმერი“ 2007 წლიდან თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიასთან („ღურჯ მონასტერთან“ – წინამძღვარი დეკანოზი დავით შარაშენიძე) არსებული ბავშვთა სტუდიაა.

„კირიალესა“

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „კირიალესა“ 2006 წელს ჩამოყალიბდა. მისი ხელმძღვანელი – ლელა ურუშაძე ქართული სასიმღერო ფოლკლორის დიდოსტატების – გიორგი იობიშვილისა და კარლო ურუშაძის შთამომავალია. ურუშაძეების გვარიდან მომდინარე ტრადიცია ღირსეულად გრძელდება „კირიალესას“ შემოქმედებაში – მის რეპერტუარსა და საშემსრულებლო პრინციპებში.



ამჟამად ანსამბლში ათი ბავშვია – ორი ვაჟი და რვა გოგონა, მათი ასაკი 9-დან 15 წლამდეა, თუმცა, ბავშვების შემადგენლობა ყოველ წელს იცვლება, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის, თუმცა ხელს არ უშლის ხელმძღვანელს რეპერტუარის გაფართოებასა და გამრავალფეროვნებაში. „კირიალესას“ ბავშვები ასრულებენ, როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებს, ისე საეკლესიო საგალობლებს. სიმღერების ძირითადი წყარო საარქივო ჩანაწერებია, საგალობლებს კი წმ. ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებიდან სწავლობენ.

ანსამბლის წევრები, სიმღერა-გალობასთან ერთად, ხალხურ საკრავებზე შესრულებასაც ეუფლებიან, რამდენიმე მათგანი საეკლესიო გუნდშიც გაალობს.

„კირიალესას“ ხშირად იწვევენ მუსიკალურ ღონისძიებებზე: საგალობლების საღამოებზე, საქველმოქმედო კონცერტებზე, 2010 წელს ანსამბლმა ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმშიც მიიღო მონაწილეობა.

2009 წელს გამოიცა ანსამბლ „კირიალესას“ კომპაქტ-დისკი.

„ნაი-ნაი“

ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელთან არსებული ფოლკლორული გუნდი „ნაი-ნაი“ 2003 წელს შეიქმნა ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ბანცაძის ხელმძღვანელობით. მასში გაერთიანდა სასწავლებლის ყველა სპეციალობის მოსწავლე. გუნდი შერეული შემადგენლობისაა და 15-მდე წევრისაგან შედგება, რომელთა ასაკი 5-დან 12 წლამდეა. რეპერტუარის დიდ ნაწილს დასავლეთ საქართველოს კუთხეების მუსიკალურ-ფოლკლორული ნიმუშები ქმნის, რომელსაც ანსამბლის ხელმძღვანელი საექსპედიციო მასალის საარქივო ჩანაწერებიდან შიფრავს.

შექმნის დღიდან მოყოლებული, „ნაინაიმ“ მონაწილეობა მიიღო და წარმატებას მიაღწია არაერთ კონკურსსა და ფესტივალზე. დაარსებიდან მესუთე წლისთავი გუნდმა სოლო კონცერტით აღნიშნა.



არსებობის შვიდი წლის მანძილზე „ნაინაიმ“ სამი თაობა გააერთიანა. 2010 წლის მაისში მას მიეძღვნა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ქართული სიმღერის კვალდაკვალ“. 2010 წლის შემოდგომაზე გუნდმა მონაწილეობა მიიღო ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტში.

ხუთი სიმღერა „ნაინაის“ შესრულებით შევიდა „მსოფლიოს ბავშვთა მუსიკალური ფოლკლორის ალბომში“, რომლის პრეზენტაციაც 2011 წლის გაზაფხულზე პარიზში გაიმართა.

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი


„კიტკა“ კულტურული აღმოჩენები მრავალხმიანი სიმღერის საშუალებით

ბევრი უცხოური ანსამბლი ასრულებს სხვა ქვეყნების მრავალხმიან სიმღერებს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმემ თუ მოახერხა ღრმად ჩასწვდომოდა ამ ტრადიციებს. ქალთა ვოკალური ანსამბლი კიტკა (აშშ) 1979 წლიდან წარადგენს აღმოსავლეთ ევროპის ტრადიციულ მრავალხმიანობას დასავლური აუდიტორიის წინაშე, და ნამდვილად შესანიშნავად იცნობს ამ კულტურებს.



ამჟამად ანსამბლში 8 წევრია, ჯგუფს უმუშავია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილ ოსტატებთან. წლების განმავლობაში კიტკა ძირითადად ორიენტირებული იყო ბალკანურ ტრადიციებზე, შემდგომში რეპერტუარი აღმოსავლეთ ევროპის ბევრი მდიდარი სასიმღერო სტილით შეავსეს. ქართული მრავალხმიანი სიმღერები პირველად 1989 წელს შეასრულეს. უკანსაკნელ ხანს ქართულ მუსიკას უფრო ინტენსიურად სწავლობენ, 2010 წელს მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის V სიმპოზიუმში. 2011 წელს ტრიო კაკასიასთან ერთად ჩატარებული კონცერტების სერიაში ნათლად გამოჩნდა მათი ერთგულება ქართული ფოლკლორის მიმართ.

სახელი კიტკა ბულგარულ და მაკედონურ ენებზე „თაიგულს“ ნიშნავს. 1979 წელს დარსებულ მოყვარული მუსიკოსების ჯგუფს აღმოსავლეთ ევროპის ქალთა სიმღერების დისონანსური ჰარმონიისა და ჩახლართული რიტმების მიმართ სიყვარული აერთიანებდა.



წლების მანძილზე კიტკა, რომლის შემადგენლობაში 50-ზე მეტი წევრი იყო, მოყვარულთა დიდი ჯგუფიდან ნელ-ნელა დახვეწილ პროფესიულ ანსამბლად გადაიქცა. მართალია, სასწავლო მიზნებისთვის ისინი ხშირად ნოტებს იყენებენ, მაგრამ მათ ჭეშმარიტად ესმით ზეპირი ტრადიციის ფასი და მიზნად ისახავენ, დაუკავშირდნენ სხვადასხვა ტრადიციის, ნოტების გარეშე მომუშავე პედაგოგებს. კიტკა ვოკალისტი ბრიჯიტ ბოილი აღნიშნავს: „იმის გამო, რომ კიტკას ზოგიერთი წევრი აღმოსავლეთევროპული წარმოშობისაა, ჩვენი უმრავლესობა ამ მუსიკის უჩვეულო სილამაზითა და ემოციური დატვირთვითაა მოხიბლული. ჩვენ ყველას გათავისებული გვაქვს ამ სასიმღერო ტრადიციების ძალა და ჩვენი თავი მივუძღვენით ამ მელოდიების მოკრძელებულად, გულწრფელად და სიყვარულით შესრულებას“.

კარლ ლინიკი

2012 წლის იანვარში გარდაიცვალა დღაწმოსილი მომღერალი და ლოტბარი, ქართული სიმღერის ჭეშმარიტი გულშემატკივარი – სულიკო ციმაკურიძე. ამიტომ, ჩვენი ბიულეტენის რუბრიკა „ქართული სიმღერის მოამბეები“, სწორედ ბატონი სულიკოს ხსოვნას მივუძღვენით.

სილოვან (სულიკო) კონსტანტინეს ძე ციმაკურიძე 1929 წლის 20 ივნისს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში დაიბადა. ციმაკურიძეების მცირერიცხოვანი გვარი წარმოშობით რაჭიდან, სოფელ თლულიდანაა. ისინი საეკლესიო აზნაურები ყოფილან. საზანოში სულიკოს მამის მამა – როსტომ ციმაკურიძე ჩამოსულა.

ციმაკურიძეების ოჯახში ყველა მღეროდა: მამა-ბიძები, და-ძმები... სოფელ ქვედა საზანოს მდიდარი მუსიკალური ტრადიციები ჰქონდა. „აქ სახლობდნენ მაჭავარიანები, ბუცხრიკიძეები, ძალზე ზრდილი ხალხი... ისეთ სიმღერებს მღეროდნენ, მათ მოსმენას არაფერი ჯობდა. ყურში ახლაც მაქვს მათი ნამღერი, სწორედ მაშინ შემიყვარდა ხალხური სიმღერები“, – იგონებდა ბატონი სულიკო.

თავად კი სიმღერა ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის ანსამბლში დაიწყო, პარმენ ბუხაიძის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად თავის მასწავლებლებად ბიჭიკო აბაშიძესა და თამაზ კიკნაძესაც ასახელებს. ბევრი სიმღერა მან კიცხელი ძმების, ავალი-შვილებისგანაც შეისწავლა.

ცოლად სულიკომ კიცხელი ზინა ზვიადაძე შეირთო და იქვე დარჩა საცხოვრებლად.

1951 წლიდან სულიკო ციმაკურიძე იწევს დამოუკიდებელ სალოტბარო მოღვაწეობას. მრავალი წლის მანძილზე მან 50 სიმღერა აღადგინა.

ჰერული მუსიკალური ფოლკლორი



ლოტბარის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხის ფოლკლორულ ანსამბლ „ოდილას“, რომელიც 1988 წელს ჩამოაყალიბა. მათ რეპერტუარში ძირითადად იმერული სიმღერები ჰქონდათ, რომელთა უმრავლესობა სულიკოს აღდგენილია. ანსამბლს უმოდ ზაურია უკრაინაში, ბალტიისპირეთში, რუსეთში. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებასა თუ ტელერადიო გადაცემაში. მათი ჩანაწერები ინახება საქართველოს რადიოს ოქროს ფონდსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში. 2006 წელს შვეიცარიაში გამოიცა „ოდილას“ აუდიო ალბომი.

სულიკო ციმაკურიძე იყო ღირსების ორდენის კავალერი და ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი.

ნანა ვალიშვილი
ეთნომუსიკოლოგი
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის
მუსიკალური ხელოვნების მიმართულების
ხელმძღვანელი

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ საქართველოს ისტორიული კუთხე ჰერეთი ქვეყნის მიღმა დარჩა. მართალია, დროდადრო მას ვხვდებით საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ ამ ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების ინტერესების ხარჯზე, ადგილობრივი მოსახლეობის დათრგუნვა დაიწყო. ხალხს ერთად მღერაც კი აეკრძალა. ცხადია, ყოველივე ამან დიდი როლი ითამაშა ვოკალური მრავალხმიანობის დაკარგვაშიც.

გასული საუკუნეების პრესასა და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საინგილოში ქართული ხალხური სიმღერა აღარ ისმის, თუმცა, ექსპედიციებმა დაადანტურა, რომ ამ კუთხეში შემორჩენილია არაერთი მარტივი სასიმღერო ნიმუში, რომლებსაც ადგილობრივი ეთნოფორები სიმღერად არ აღიქვამენ.

ფილოლოგი მართა ტარტარაშვილი (თარხნიშვილი) 1967 წლიდან აგროვებს ამ კუთხის სხვადასხვა სახის ფოლკლორულ მასალას (მათ შორის სიმღერების ტექსტებსაც). საგულისხმოა, რომ მან თვითონვე გააცოცხლა ინტონაციურად ბევრი სასიმღერო ტექსტი. მის სახელს უკავშირდება ყველა ის ხმოვანი ჩანაწერი, რომელიც 1978 წლიდან დღემდე არსებობს. სწორედ მართა ტარტარაშვილთან ერთად განვახორციელეთ ჩაწერები როგორც თბილისში, ისე – სოფელ სამთაწყაროში და ჰერეთში.

ჰერეთში ვოკალური მრავალხმიანობის აღმნიშვნელი ცნებები მხოლოდ სასაუბრო ლექსიკაშია შემორჩენილი. ხმების სახელწოდებები ამგვარია: შუა ხმა – „შუალა ხმაი“, „კარგ ხმაი“, „იგრეგ ხმაი“, ბანი – „ბერხ ხმაი“, „დიდ ხმაი“ და ზედა ხმა – „წიპლანკ (წიწლანკ) ხმაი“. საკრავთან (კერძოდ, ზურნასთან) დაკავშირებით, ბანის მნიშვნელობით იხმარება ტერმინები „დეშ“ და „ზუი“. სავარაუდოდ, ბანს უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „ბანგ“-იც. „ინგილოურ ლექსიკონში“, რომელიც ნათელა როსტიაშვილმა შეადგინა, დასახელებულია ზურნის სამი ხმის სახელწოდება: „შუა ხმაი, ბანგი და ზილ ბანგ“. შესაძლოა, აქ ქართული სამხმიანობის გამოძახილთან გვეკონდეს საქმე.

საკრავიერი მუსიკა ჰერეთში მეტადაა განვითარებული, ვიდრე ვოკალური. აქ გვხვდება ე. წ. აღმოსავლური ჩონგური (ჩუნგური), ზურნა, ნაღარა, რუსული გარმონი და დოლი. საკრავთა ანსამბლი ორგვარია: ნაღარა-ზურნისა (2 ნაღარა და 2 ზურნა) და დოლ-გარმონის შემადგენლობით. ნაღარა-ზურნის ანსამბლი (ისევე, როგორც დოლ-

გარმონისა), გასული საუკუნის 70-80-იან წლებამდე საკმაოდ პოპულარული ყოფილა.



ჰერები

ჰერები საზოგადოებრივად უკრავენ, რომელსაც ჩონგურს (ჩუნგურს), აზერბაიჯანელები კი ტანბურს უწოდებენ. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში ფანდურს ზოგჯერ ჩონგურად მოიხსენიებენ; საინტერესოა, რომ ტანბური გარეგნულად და დაკრის ხერხით ახლოს დგას ფანდურთან.



აღმოსავლური ჩუნგური მერაბ კუზიბაბაშვილის ოჯახიდან

როგორც ჩანს, ადრე ჰერეთში ფანდური არსებულა, რომელიც შემდგომ 5-6 სიმანიმა ტანბურმა ჩაანაცვლა. მართალია, ჰერეთში ტანბურზე დასაკრავების ჩანაწერები არ მოგვეპოვება, მაგრამ, სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი აღმოსავლური იქნებოდა, რადგან ინსტრუმენტული მრავალხმიანობა აქ წარმოდგენილია „თათრული“ (უმეტესად ლეკური და აზერბაიჯანული) მუსიკით, ქართული ნიმუშები კი, უმთავრესად, საქართველოდანაა შეტანილი.

იოსებ უორდანიას არკვევს, რომ მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში შრომისას ჯერ კიდევ ყოფილა ცოცხალი მრავალხმიანი მღე-

რის ტრადიცია. თუმცა, მის მიერ ჩაწერილი მასალა სოლომონ ბარისაშვილის მიერ საბჭოთა ეპოქაში გავრცელებულ სიმღერებს მოიცავს. ამ ფაქტისა და ისტორიული გარემოებების გათვალისწინებით, საეჭვოა, რომ ვოკალურ მრავალხმიანობას 20-30-იან წლებამდე მოეღწია. თუმცა, იმ ფაქტს, რომ ჰერული მუსიკა თავის დროზე ნამდვილად მრავალხმიანი იყო, ხმების ადგილობრივი სახელწოდებებიც ადასტურებს.

*გიორგი კრავიშვილი
ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის
მაგისტრატურის I კურსის
სტუდენტი*

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ

პოლონელი ეთნომუსიკოლოგის ერთი წერილის შესახებ



იოანა კუბერო

დღეს საქართველო და ქართული კულტურა პოლონეთში განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. თუმცა ქართულ მუსიკას იქ ნაკლებად იცნობენ, ვინაიდან არც ისე ხშირია ქართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტები. სამწუხაროდ, რუსთავის, ამერ-იმერის და სხვა ანსამბლების საგასტროლო მოგზაურობის ამსახველი რეცენზიები ჯერჯერობით ხელთ არა მაქვს. ტრადიციული მრავალხმიანობის საკითხებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმში მონაწილეთა შორის იყვნენ ბოჟენა მუშკალსკა და ანა პიოტროვსკა, თუმცა მათი მოხსენებები ქართული თემატიკას არ ეხებოდა.



კრისტინა ვილკოვსკა-ხომინსკა და იოზეფ ხომინსკო

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლონელებს არ აინტერესებთ ქართული მუსიკა. ქართული მუსიკისადმი მზარდი ინტერესის მაჩვენებელია პოლონეთის რადიოს გადაცემა შობა-ახალწლის ქართული რიტუალებისა და სიმღერების შესახებ, რომლისთვისაც მასალა

ქალბატონი ნინო მახარაძის სალექციო კურსის ფარგლებში მოვაძაბადე. მისივე მითითებით, მოვიძიე 1960 წელს პოლონურ ჟურნალ „მუსიკაში“ დაბეჭდილი სტატია ქართული ხალხური მუსიკა, რომელიც ცნობილ ეთნომუსიკოლოგს – ქრისტინა ვილკოვსკა-ხომინსკას ეკუთვნის. ეს ქალბატონი გახლავთ მუსიკის ისტორიისა და ფორმის სახელმძღვანელოების ავტორი. მისი ნაშრომები სამუსიკო განათლების აუცილებელი სახელმძღვანელოების სიაშია შეტანილი.

როგორც ოთარ ჩიჯავაძე თავის სტატიაში „მუსიკა იპყრობს ადამიანების გულს“ (გაზეთი „კომუნისტი“, №287, 1962) აღნიშნავს, კრისტინა ვილკოვსკა-ხომინსკა საქართველოს მეუღლესთან, ცნობილ ეთნომუსიკოლოგ იოზეფ ხომინსკისთან ერთად ესტუმრა. როგორც ჩანს, ისინი იმდენად მოიხიბლნენ ქართული მრავალხმიანი სიმღერებით, რომ, პოლონეთში დაბრუნების შემდეგ, ვილკოვსკა-ხომინსკამ გაგრძელა ამ თემაზე მუშაობა. 1960 წელს პარიზში ჩატარებულ მუსიკოსებისა და ფოლკლორისტების მსოფლიო კონგრესზე კრისტინა და იოზეფ ხომინსკებმა წარმატებით წარმოადგინეს ოთხხმიანი ფოლკლორული სიმღერა. გარდა ამისა, ვილკოვსკა-ხომინსკამ, ფრანგ ეთნომუსიკოლოგს ივეტ გრიმოს გადასცა ვლადიმერ ახობაძის მიერ საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დახმარებით შეგროვებული „ქართული (სვანური) ხალხური სიმღერები“. ამის შემდეგ დოქტორმა გრიმომ თარგმნა წიგნის შესავალი ნაწილი და დაიწყო მუშაობა ნაშრომზე ქართული მრავალხმიანი სიმღერის შესახებ.

აღნიშნულ 13 გვერდიან წერილში თავიდანვე იქცევეს ყურადღებას თეზისი: ქართული ხალხური მუსიკის შესწავლა უნდა წარიმართოს არა მხოლოდ წმინდა ფოლკლორისტული კვლევების ფარგლებში, არამედ მსოფლიო მუსიკის ისტორიის კუთხითაც. ქართული პოლიფონიის შესწავლა უადრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოდ, მრავალხმიანი მუსიკის გენეზისისა და განვითარების ეტაპების შეცნობის თვალსაზრისით. აქ ავტორი იმოწმებს მარიუს შნაიდერის 1939 წ. გამოკვლევას, სადაც წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა მრავალხმიანობასა და შუასაუკუნეების დასავლეთევროპული პოლიფონიის ნიმუშებს შორის არსებული ანალოგიები.

ვილკოვსკა-ხომინსკა პოლონელ მკითხველს აცნობს იმ წერილობით წყაროებს, რომლებიც, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მუსიკისადმი ძველ ავტორთა (სარგონი, ქსენოფონტე) ინტერესს ადასტურებს და, მეორე მხრივ, იმ პერიოდის სხვა სასიმღერო ტრადიციებისაგან მის

განსხვავებულობაზეც მიგვანიშნებს. აქვე, ავტორი მსჯელობს იოანე პეტრიწის თხზულებასა და მიქაელ მოდრეკილის ნეკიმირებულ კრებულზე.

მკვლევარი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა არის უძველესი და ადგილობრივი მოვლენა. საქართველოს ტერიტორიაზე მრავალსაუკუნოვანი პოლიფონიური მუზიციურობის პრაქტიკის დასაბუთებისათვის, იგი კიდევ ერთ არგუმენტს იშველიებს. ესაა მრავალხმიანობის მარტივი და რთული ნიმუშების თანაარსებობა. მრავალხმიანობა – როგორც მუსიკალური აზროვნების განსაკუთრებული ფორმა, უცხოური მოდელების დამკვიდრების გზით ვერასოდეს ვერ იქცევა ხალხური მუსიკისათვის ჩვეულ ნორმად. იგი ხალხის შინაგანი მოთხოვნების შედეგია. გარედან შემოტანილ მოვლენას ასეთი მრავალფეროვნებისა და ევოლუციისათვის აუცილებელი ტენდენციების შექმნა არ ძალუძს. როგორც ვხედავთ, პოლონელი მეცნიერისათვის (და არა მარტო მისთვის) ქართული მრავალხმიანობა სრულიად უნიკალური, უძველესი და ლოკალური მოვლენაა.

ქართველი მუსიკისმცოდნეების კვალდაკვალ, ქალბატონი კრისტინა აღიარებს ქართული ფოლკლორული მემკვიდრეობის დიალექტურ მრავალფეროვნებას, რომელიც ეთნოგრაფიული რეგიონების განსხვავებულობით არის განსაზღვრული. იგი წერს აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ტიპის მრავალხმიანობაზე, განასხვავებს მათ მუსიკალურ სტრუქტურას და ამჩნევს მსგავსებას სიმღერების თემატიკასა და ყოფით ფუნქციაში. ბუნებრივია, რომ აქ ავტორი ხაზგასმით მიუთითებს გურულ დიალექტში შემორჩენილ ანტიფონურ ყანურ (ნადურ) სიმღერებზე.

ყურადღებას იქცევს მინიშნება ქართული ხალხური მუსიკის დიატონურ წყობაზე, რომელიც ჰეპტატონიკას ემყარება. ავტორის დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს სიმღერების დიაპაზონი, ხმათა რაოდენობა, აკორდები და საკრავები. ქალაქური ტიპის მრავალხმიანობაში იგი რუსული რომანსის გავლენას ამჩნევს (როგორც ვიცი, ეს ერთადერთი წყარო არაა და აქ იტალიური ოპერის, რუსული საეკლესიო გალობის, ჯარისკაცული (солдатские) სიმღერებისა და სტუდენტური ფოლკლორის კვალიც აშკარაა).

განსაკუთრებულად ჟღერს ავტორის მოწოდება იმის თაობაზე, რომ ქართული ხალხური მუსიკის შეცნობა მხოლოდ ზოგად-ქართული კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

უდავოა, რომ სტატიის აკადემიურობა მაღალი პროფესიონალიზმით, ქართველ ეთნომუსიკოლოგთა შრომებში ჩამოყალიბებული შეხვეულობების კარგი ცოდნით, საქართველოში ყოფნისას მიღებული მუსიკალური შთაბეჭდილებებით არის განპირობებული. ვფიქრობ, კრისტინა ვილკოვსკა-ხომინსკას ეს წერილი დღემდე რჩება ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ პოლონურ ენაზე შექმნილ ერთადერთ სერიოზულ ნაშრომად. მისი ავტორის დვაწლი კი ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ არსებული ცოდნის პოლონეთში გავრცელების საქმეში განუზომლად დიდია.

იმედი მაქვს, ქართული ტრადიციული მუსიკისადმი პოლონელთა ინტერესი მომავალში კიდევ უფრო გადრმავედება.

*იოანა კებერი
ტმესც-ის უხოვლებისათვის
ქართული ხალხური მუსიკალური
შემოქმედების მოკლევადიანი სასწავლო
კურსის მსმენელი, ვიშეგრადის
საერთაშორისო ფონდის სტიპენდიანტი*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი

ფოლკლორისტიკის კათედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1968 წელს დაარსდა. ამჟამად მას ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი ეწოდება, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულია.

ფოლკლორის კათედრის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი იყო პროფესორი ქსენია სიხარულიძე (1911-1976), რომლის ინიციატივას აქტიურად დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და ცნობილმა მოღვაწეებმა: აკადემიკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა, სერგი ღურშიშიძემ, ალექსანდრე ბარამიძემ, მიხეილ ჩიქოვანმა და სხვ. ამავე წლიდან არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი – „თსუფა“. მის შექმნაში, ფოლკლორისტიკის გარდა, მონაწილეობა მიიღეს სხვა დარგების მეცნიერებმაც, მათ შორის, სოლომონ ხუციშვილმა და ქეთევან ბურჯანაძემ, რომლებმაც 40-იან წლებში ჩაწერილი მასალა გადასცეს არქივს.

ფოლკლორისტიკის კათედრის გახსნას წინ უძღოდა სალექციო კურსები ფოლკლორისტიკაში, რომელთაც საფუძველი ჯერ კიდევ 1926 წელს ჩაუყარა ვახტანგ კოტეტიშვილმა (1893-1937). მის შესავალ ლექციას ესწრებოდა ქართველ მეცნიერთა მთელი პლეადა: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები. 1929 წლიდან ვახტანგ კოტეტიშვილისავე ინიციატივით, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა პოეტიკის კურსი.

1930 წლის ზაფხულში ვ. კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ფოლკლორისტიკული ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის უფროსი კურსის სტუდენტები: ელენე გოგოძე, მაყვალა მრეველიშვილი, ილია მაისურაძე, დავით ზვიადაძე და სხვები. 1933 წელს საექსპედიციო მუშაობა წარიმართა ატენის ხეობაში, 1934 წელს – თეძმისა და ალგეთის ხეობაში.

ვახტანგ კოტეტიშვილის გარშემო შემოკრებილ სტუდენტთა ჯგუფიდან ბევრი შემდგომში ცნობილი ფოლკლორისტი გახდა. მათ შორის: ქსენია სიხარულიძე, ელენე ვირსალაძე, ვარლამ მაცაბერიძე.

ფოლკლორისტიკის ქართული სკოლა თავისი არსებობის დასაწყისში ევროპულ სკოლებზე იყო ორიენტირებული და იმდროინდელი უახლესი მეთოდოლოგიის დანერგვას ცდილობდა.

ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღემდე აგრძელებს თავის ტრადიციებს როგორც სასწავლო პროცესში, ისე სამეცნიერო და საველე მუშაობის კუთხით. თანამედროვე ქართული ფოლკლორისტიკა ინტერდისციპლინური მიმართულებით ვითარდება. მისი შესწავლის ობიექტია ტრადიციული კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის – ზეპირსიტყვიერების კულტურულ ფენომენთა ანალიზი მათ სოციალურ, ლოკალურ, რეგიონალურ და ეპოქალურ კონტექსტში. ფოლკლორისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებს აქტიური სამეცნიერო კონტაქტები აქვთ კავკასიელ, ევროპულ და ამერიკელ კოლეგებთან, მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე ფოლკლორისტიკის, ეთნოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ანთროპოლოგიის მიმართულებით.

ფოლკლორისტიკის დეპარტამენტში მომზადებული სასწავლო კურსები სხვადასხვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ფოლკლორის სხვადასხვა სფეროში სავალდებულო კურსებს (ქართული ფოლკლორი, ქართული მითოლოგია, კავკასიური მითოლოგია, ხალხური სიმბოლიკა და სხვ.) ისმენენ ქართული ფილოლოგიის, კავკასიოლოგიისა და ეთნოლოგიის პროგრამების სტუდენტები და მაგისტრანტები. ფოლკლორის არჩევით კურსებს (მითის პოეტიკა, შედარებითი მითოლოგია, ამერიკის ხალხთა მითოლოგია) დიდი რეიტინგი აქვთ ლიტერატურის თეორიის, სკანდინავიისტიკისა და ამერიკისმცოდნეობის მიმართულებებზე. 2010 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ერთობლივი კვლევის, განათლების, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შექმნას ითვალისწინებს.

ფოლკლორისტიკის დეპარტამენტში დღესდღეობით თანამშრომლობენ ასისტენტი, ასოცირებული და მოწვეული პროფესორები:

თეიმურაზ ქურდოვანიძე, ქეთევან სიხარულიძე, ელენე გოგიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, ტრისტან მახაური, მარიამ ბაკურიძე.

ახალი გამოცემები

ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში

ელენე გოგიაშვილი

*თსუ-ს ფოლკლორისტიკის დეპარტამენტის
ასისტენტ-პროფესორი,
ვილოლოგიის დოქტორი*


2011 წლის ზაფხულში გამოიცა წიგნი „ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში“, რომელიც კულტურათა დიალოგის პრობლემას ეძღვნება. მასში საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ტრადიციული მუსიკის ზოგიერთი საკითხი, წარმოდგენილია აფხაზეთში მოღვაწე მგალობელ-მომღერლებისა და ლოტბარების საქმიანობის დამადასტურებელი მდიდარი დოკუმენტური მასალა, რომელიც ორი ხალხის – ქართველებისა და აფხაზების ხანგრძლივ შემოქმედებით ურთიერთობას, მტკიცე მეგობრობასა და დიდ სიყვარულს ასახავს. წიგნის აუდიო-დანართში მოცემულია, ერთი მხრივ, საქართველოს არქივებში დაცული აფხაზური ჩანაწერები და, მეორე მხრივ, თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლების მიერ დიდი სიყვარულით შესრულებული აფხაზური სიმღერები. ავტორები იმედოვნებენ, რომ წიგნი ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმართვის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი მოკრძალებული ნაბიჯი იქნება.

მუსიკალური ლექსიკა, ინტონაციური ფონდი სხვადასხვა ხალხის თანაცხოვრების, მათი კულტურული კავშირების ამსახველი უტყუარი საბუთია. სწორედ ამიტომ, ეთნოგენეზის პრობლემებისა და ეთნოკულტურული კონტაქტების შესწავლისას ხალხურ მუსიკას წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ენიჭება.

ეთნოგრაფიული და მუსიკალური მასალის ანალიზის საფუძველზე დასტურდება აფხაზური სიმღერებისა და საკრავიერი მუსიკის კავშირი ქართულ, ჩრდილოკავკასიურ და რუსულ ხალხურ შემოქმედებასთან.

ქართულის მსგავსად, აფხაზური მუსიკაც მრავალხმიანია. მის საფუძველს ბურღონული ორხმიანობა (დიაფონია) წარმოადგენს. სამხმიანობა უფრო გვიანდელი წარმოშობისაა და მასში ქართული (განსაკუთრებით, მეგრული და, ნაწილობრივ, სვანური) სიმღერების კვალს ამჩნევენ. ზოგიერთ მეცნიერს აფხაზური სამხმიანობის წარმოქმნა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იქ მოღვაწე ქართველი მომღერალ-ლოტბარების საქმიანობის შედეგად მიაჩნია. ცხადია, აფხაზებთან ურთიერთობამ გარკვეული ზეგავლენა ქართულ მუსიკაზეც მოახდინა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ქართველი კომპოზიტორების (ზაქარია ფალიშვილი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე და სხვების)

მიერ აფხაზური ფოლკლორის პროფესიულ მუსიკაში დამუშავების ფაქტები.



კოწი გვავჯკორი

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში სოხუმის ოლქი (ასე უწოდებდნენ მეფის რუსეთში აფხაზეთს) XX საუკუნის II ნახევარი ავთენტიკური ფოლკლორისაკენ შემობრუნების ხანაა. ეს იყო ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი მხარე. ერთადერთ სასწავლო დაწესებულებაში – *მთიელთა სკოლაში*, რომელიც სოხუმში 1863 წელს გაიხსნა, სწავლება რუსულად მიმდინარეობდა, ხოლო კურსდამთავრებულებს სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის გიმნაზიებში აგზავნიდნენ. მეფის რუსეთი ხომ აფხაზების გარუსებას ისახავდა მიზნად და ამის შესახებ ღიადაც აცხადებდა.

ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით, 1903 წელს დაარსდა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების სოხუმის განყოფილება*, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ახალი საგანმანათლებლო, თეატრალური თუ მუსიკალური ტრადიციების დამკვიდრება-განვითარებას. *განყოფილებას* სოხუმში მცხოვრები ქალბატონი – მარიამ ანჩაბაძე ედგა სათავეში. *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების* დაფუძნება სოხუმში უდიდესი მწერლისა და და საზოგადო მოღვაწის – ილია ჭავჭავაძის ჩამოსვლასთანაა დაკავშირებული. *საზოგადოებების* დაქინებული მოთხოვნით, აფხაზეთში შემოიღეს ქართული ენის სწავლება, გაიხსნა საავადმყოფო. სოხუმის მსგავსად, *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების განყოფილება* ოჩამჩირესა და გუდაუთაშიც გაიხსნა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სოხუმში საკურორტო ზონად ცხადდება. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა, რაც რუსული და დასავლეთევროპული მუსიკით გატაცებაში, კამერული და სარომანსო მუსიკის სადამოების მოწყოლაში გამოიხატა. ამ ფონზე იშლება ბრწყინვალე შემსრულებლისა და ლოტბარის, მუსიკალური ფოლკლორის შემკრებისა და პოპულარიზატორის – ძუკუ ლოლუას მოღვაწეობა, რომელიც აფხაზეთის საგუნდო შემსრულებლობის სათავეებთან დგას. პირველი ქართულ-აფხაზური გუნდის დაბადების თარიღი 1904 წლის 25 სექტემბერია. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ძუკუ ლოლუას სოხუმში სულ ცოტა ოთხი გუნდი დაუარსებია: I – 1904 წელს; II – 1911 წელს; III – 1912 წელს და IV – 1919 წელს. ამ გუნდების მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა სალოტბარო საქმიანობას აფხაზეთში.

ძუკუ ლოლუას შემოქმედებითი მეთოდი ხალხურ პირველწეაროში ჩაურევლობას და ზეპირი გზით სწავლებას გულისხმობდა. მართალია, ქართული ტრადიციული შემსრულებლობისათვის მრავალრიცხოვანი გუნდი უცხო მოვლენა იყო, მაგრამ ეროვნული კულტურის გადარჩენისათვის ბრძოლაში – ქმედით იარაღს წარმოადგენდა. იმდროინდელ აფხაზეთში ძნელად მოიძებნებოდა ოჯახი, სადაც ქართულ სიმღერებს არ მღეროდნენ. ერთიანი საქართველოს აკაკისეული სიმბოლო – *ჩონგური* კი ისევე ძალუმად ჟღერდა, როგორც მშობლიური *აფხაძარცა*.

ძუკუ ლოლუამ ხალხური სიმღერის თეატრალიზებული დადგმის გზა აირჩია. სწორედ ამ სანახაობებს მიიჩნევენ აფხაზები საკუთარი თეატრის სათავედ.

მასწავლებლის გზას და შემოქმედებით პრინციპებს აგრძელებენ შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი მომღერლები და ლოტბარები – რემა შელეგია, კირილე პაჭკორია, ივანე ლაკერბაი და ასტამურ მარღანია.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდს (1918-1921) მოსდევს კომუნისტური წყობილების ჩასახვა-ჩამოყალიბების, ახალი მხატვრული ფორმების ძიების წლები. ყველაზე დემოკრატიული ჟანრი – სიმღერა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურ იარაღად, *ახალი ეპოქის* ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცევა. ქართულ-აფხაზური გუნდების წევრებმა, მათმა ოჯახებმა და გულშემატკივრებმა ერთად გამოიარეს 30-40-იანი წლების სასცენო ხელოვნებაში დამკვიდრებული მოთხოვნები, *ხალხის მტრების წინააღმდეგ განხორციელებული წითელი რეპრესიები*, დიდი სამამულო ომის უძძიძესი დღეები.

აფხაზური ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი პლატონ ფანცულაიასა და კიწი გეგეჭკორს. მათ მიერ ჩამოყალიბებული გუნდები პატრიოტიზმისა და ეროვნულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის მისაბაძი მაგალითია.



განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლის დაარსების ისტორია – ეთნოგრაფიული გუნდიდან სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებამდე დეტალურადაა აღწერილი საკავშირო და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე უხვად გაბნეულ სტატიებში.

ამ პერიოდში აფხაზეთში მოღვაწე ფოლკლორულ კოლექტივებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა *უხუცესთა ანსამბლები*, რომლებმაც ავთენტიკური საშემსრულებლო ტრადიციები უცვლელად შემოინახეს. სოფელ თაგილონისა და ათარის ხანდაზმულებს, აგრეთვე ანსამბლების – *აბუდუაასა და ნართაას* საუკუნეგადაცილებულ წევრებს მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგები და გერონტოლოგები საგანგებოდ იკვლევდნენ.

საგანგებო განხილვის საგანია მართლმადიდებლური სამგალობლო ტრადიციის საკითხები. გადმოცემების თანახმად, აფხაზეთში I საუკუნეში უქადაგია ანდრია პირველწოდებულს. აქვე გარდაცვლილა და დაუკრძალავთ სვიმონ კანანელი. მეცნიერთა აზრით, V-VI საუკუნიდან მოყოლებული სრულიად საქართველოს და, ცხადია, აფხაზეთის ტაძრებში წირვა-ლოცვა და გალობა ქართულ ენაზე აღესრულებოდა; XVI საუკუნის II ნახევარში აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა ქუთაისის, გელათის, ნიკორწმინდის, ცაგერის, ცაიშის, წალენჯიხის, ჭყონდიდის, ხონის, შემოქმედის, ბიჭვინთის, დრანდის, ბედიისა და მოქვის საეპისკოსოები. უდავოა,

მათი ერთიანობა სამგალობლო სკოლათა ერთიანობასაც გულისხმობდა; XVII საუკუნეში ოსმალეთის გავლენის სფეროში მოქცეული მოსახლეობის ნაწილში თანდათან ვრცელდება სუნიტური ისლამი, აქტიურდება ძველი წარმართული სარწმუნოება.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკური კურსის შედეგად აფხაზეთში ქართული გალობა თითქმის განდევნილია. გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის ფეოდალური ეპოქის ბრწყინვალე ტაძრები მთლიანად მიტოვებულია.

საქართველოში კომუნისტების 70-წლიანმა დიქტატურამ და ათეისტურმა პროპაგანდამ მთლიანად მოშალა გალობის პრაქტიკა, დაინგრა ეკლესია-მონასტრები, რეპრესიების ტალღაში მოყვნენ საეკლესიო პირები, მათ შორის, გალობის უკანასკნელი მცოდნენიც.

მართალია, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, საბჭოთა სისტემის რღვევის დროს, ქართულ ეკლესია-მონასტრებში კვლავ გაისმა ტრადიციული გალობა, მაგრამ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებმა ამ ტერიტორიაზე მოქმედ ტაძრებში ქართული ჰანგების ხელახალი დამკვიდრების პროცესი შეაფერხა.

აფხაზური ფოლკლორის შეკრებისა და გამოცემის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს დიმიტრი არაყიშვილმა, კონსტანტინე კოვანმა, კონდრატე ძიძარიამ, ივანე ლაკერბაიამ, ივანე ქორთუამ, ვლადიმერ ახობაძემ, ანდრია ბალანჩივაძემ, დიმიტრი შეველოვმა, გრიგოლ კოკელაძემ, გრიგოლ ჩხიკვაძემ, ინა და მერი ხაშბებმა, ოთარ ჩიჯავაძემ, ვადიმ აშუბამ და სხვებმა.

*ნინო კალანდაძე
ეთნომუსიკოლოგი,
მუსიკოლოგიის დოქტორი*

ხალხური მუსიკისა და პოეზიის ურთიერთობა

(ნაწევები სტატიიდან „ხალხური სიმღერის უკვდავება“)



ცნობილია, რომ ხალხური შემოქმედება არამარტო ფოლკლორისტიკის, არამედ სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებს თავიდანვე თავიანთი შესწავლის საგნად მიაჩნდათ. ეს, პირველ რიგში, იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ ხალხური შემოქმედება სინთეზური მოვლენაა, მასში თავმოყრილია ერის კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის ენა, აზროვნება, იდეოლოგია, ყოფა, რწმენა, პოეზია, მუსიკა, დრამა, ქორეოგრაფია.

მაგრამ ყველაზე მეტად თავს იჩენს ხალხური პოეზიისა და მუსიკის მჭიდრო კავშირი. შეიძლება ითქვას, ეს ორი დარგი ერთად ჩაისახა, ერთმანეთს შეეზარდა და საუკუნეების მანძილზე მხარდამხარ ვითარდებოდა, იხვეწებოდა, მდიდრდებოდა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდე ლექსს სიმღერას უწოდებენ და პირუკუ განსაკუთრებით, ეს შეიმჩნევა თუშ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც ერთ კილოზე სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ლექსს დაამღერებენ, მაგრამ ვერ დააჯერებთ, რომ მუსიკალური ენის მხრივ, მათ მხოლოდ ერთი სიმღერა შეასრულეს. მათთვის მთავარია პოეტური და არა მუსიკალური ტექსტი, ლექსი და არა მუსიკა, რომლებიც თავდაპირველად ერთ მთლიანობაში იყო წარმოდგენილი. უფრო ზუსტად, მუსიკა სამეცყველო ინტონაციაზე აღმოცენდა. მართალია, ამჟამად პოეტური ფოლკლორი და მუსიკალური შემოქმედება ორი ცალკეული დარგია, მაგრამ მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი კვლავაც გრძელდება და, ბუნებრივია, არასოდეს დაირღვევა.

როგორც მწერლებისათვის ხალხური სიტყვიერება, ისე, კომპოზიტორებისათვის – ხალხური მუსიკა ძირი და ფესვია, უშრეტი მასაზრდოებელი წყაროა.

რამდენადაც ზეპირსიტყვიერებისა და ფოლკლორული მუსიკის მდიდარი ნაირსახეობა, ხატოვანი შინაარსი თუ მხატვრული გამომსახველობის თავისებურებანი ერთობლივად იქნება შესწავლილი და მათთან დაკავშირებული პრობლემები მეცნიერულად გადაიჭრება, იმდენად ხალხური შემოქმედების ეს ორი განშტოება მეტ სამსახურს გაუწევს მშობლიური ლიტერატურისა და პროფესიული მუსიკის გამდიდრება-განვითარებას.

*გიორგი ჩხიკვაძე
გაზეთი „თბილისი“, 10.09.1969წ.*

შავო ყურშაო

სიმღერა „შავო ყურშაო“ ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია. ეს არის საფერხულო სიმღერა, რომლის სხვადასხვა ვარიანტები რაჭასა და სვანეთში სხვადასხვა სახელწოდებით იყო გავრცელებული: „ყურშა“, „ყურშაო“, „შავო ყურშაო“, „შაო ყურშაო“, „ჩემო ყურშაო“ და სხვ.

გადმოცემების მიხედვით, ამირანი ღმერთმა ძაღლთან ერთად მიაჯაჭვა კლდეზე. სწორედ ეს ძაღლია ყურშა – ქართული სამონადირეო ფოლკლორის ერთ-ერთი მთავარი „პერსონაჟი“, ზღაპრული ფრთოსანი ლეკვი, ფრინველის კვერცხიდან გამოჩეკილი, რომელიც მონადირეს ჩაუვარდა ხელში, მისი ერთგული თანამგზავრია და ბოლოს – მისი დაღუპვის მოწმე. შესაბამისად, „შავო ყურშაო“ ესაა საგალობელი, მიმართული ზებუნებრივი ლეკვისადმი, რომელიც ღმერთმა ამირანის გვერდით მიაჯაჭვა. როგორც ჩანს, ამგვარი ტრაგიკული შინაარსითაა განპირობებული „ყურშას“ სამგლოვიარო ხასიათი. შემთხვევითი არაა მისი შავი ფერი და შავი პატრონის სხენებაც.

ამჟამად სიმღერა „შავო ყურშაო“ მხოლოდ რაჭაშია შემორჩენილი, თუმცა სვანეთში მისი არსებობა რამდენიმე უტყუარი ცნობით დასტურდება. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თ. მამალაძის მიერ სვანეთის ერთ-ერთ ექსპედიციაში მოპოვებულ იქნა სიმღერა „შავო ყურშაო“, თუმცა ფირი, ამ საპასპორტო მონაცემებით, სამწუხაროდ, დაკარგულია. ელ. ვირსალაძე და მ. ხვთისიაშვილი ამ ფერხულის სვანურ ვარიანტს არაერთგზის მოიხსენიებენ თავიანთ ნაშრომებში; ბ. ნიჟარაძის მიერ სვანეთში ჩაწერილი „ყურშაოს“ ტექსტი წიგნში „სვანური პოეზია“ საყოფაცხოვრებო სიმღერების კატეგორიაშია შესული. გარდა ამისა, ძაღლი სვანური სამონადირეო ეპოსის გმირებს – ბეთქილსა და ჩორლასაც ახლავს თან. მას სვანურად „ღვემლაი“ ჰქვია, რაც ქართულად „ყორანად“ ითარგმნება. ეს სახელი ძაღლის არაჩვეულებრივ წარმომავლობაზე (კერძოდ, ფრინველის შვილობაზე) და შავ ფერზე უნდა მიუთითებდეს, რაც ყორანას ყურშასთან ანათესავებს. ეს მომენტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სვანურ სამონადირეო ფოლკლორში ყურშას არსებობის მოტივს. აქედან გამომდინარე, უეჭველია „ყურშაოს“ არსებობაც სვანურ სამონადირეო სიმღერებს შორის, თუმცა, მან ჩვენამდე ვერ მოაღწია. სამა-

გიეროდ, სვანეთის მეზობელ რაჭაში მრავლადაა შემორჩენილი ამ საფერხულო სიმღერის ვარიანტები.

რაჭულ და სვანურ სიმღერებს შორის მსგავსება, მათი ტერიტორიული სიახლოვისა და ურთიერთგავლენების გამო, დიდია. ეს გამოიხატება, როგორც მუსიკალური ენის თავისებურებებში, ისე შესრულების ფორმებსა და ქორეოგრაფიულ წყობაშიც. შემთხვევითი არ არის, რომ სიმღერა „შავო ყურშაო“ მთის რაჭაშია გავრცელებული, რომლის სოფლები – დები, გლოლა და ჭიორა ისტორიულად სვანეთს ეკუთვნოდა. აქ დღემდეა შემორჩენილი სვანური გვარები და სვანური კოშკები. მთის რაჭას გარდამავალ დიალექტს მიაკუთვნებენ, რაც ხაზს უსვამს რაჭულ-სვანური ფოლკლორის ნათესაობას. ამის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ სვანური „ყურშაო“ რაჭულის მსგავსი იქნებოდა.

ჩვენამდე რაჭული „შავო ყურშაოს“ ორმა ვარიანტმა მოაღწია. ორივე სამხმიანია, თუმცა ერთი ორპირულია, სოლისტის დამწყები ფრაზით, თანხლების გარეშე, მეორე კი ჭიანურის თანხლებით სრულდება ერთი გუნდის მიერ სოლისტის გარეშე, კუპლეტური ფორმისაა და სხვა რაჭულ სიმღერებს მოგვაგონებს (მაგ: „ჯამათა“).

პირველი ვარიანტი, რომლის სანოტო ჩანაწერსაც აქ გთავაზობთ, ორგუნდოვანია სოლისტის დამწყები ფრაზით. გუნდის ყოველი ფრაზა ბოლოვდება რეფრენის ტიპის შეძახილით, რაც, ვერბალური თვალსაზრისით, არქაული ლექსისათვისაა დამახასიათებელი, მუსიკალურად კი სვანური ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშების, ტირილების ფრაზების დაბოლოებას მოგვაგონებს. შესრულების ფორმითა და მუსიკალური გამომსახველობით აღნიშნული ვარიანტი უფრო ძველი უნდა იყოს, ერთგუნდოვანი ვარიანტი კი, სოლისტის გარეშე, რომელიც ჭიანურის თანხლებით სრულდება – გვიანდელი.

*მაკა ხარძიანი
ეთნომუსიკოლოგი,
მუსიკოლოგიის დოქტორი*

შავო ყურშაო

ვო ვო შა ე ვო
 ვო ი შა-ვო და ყურ-შა-ო და ვო ვო შა ე ვო

შა - ვო ყურ - შა - ვო ყურ - შა - ვო შა ე ვო
 შა - ვო ყურ - შა - ვო ყურ - შა შა ე ვო

ყურშაო, ჩემო ყურშაო!
 ყურშა გამქარვა (გამიქრა), გამქარვა,
 შუალამითა, ლამითა...
 ყურშას ყურ-ტუჩი, ყურ-ტუჩი
 ოქროს გასხია, გასხია,
 ყურშას თვალეზი, თვალეზი
 თვარესა ჰგავდი, თვარესა,
 ყურშას ყიფილი, ყიფილი (ყეფა)
 რუხუნსა ჰგავდა ცისასა,
 ყურშას ტოტეზი, ტოტეზი
 კალოს ვედენი, ვედენი (ოდენა),
 ყურშას ნახტომი, ნახტომი
 დიდი მინდორი, მინდორი.
 ყურშას საქმელი, საქმელი —

პურის ქაბაზი, ქაბაზი...
 ყურშას სასმელი, სასმელი—
 ღვინო-ბადაგი, ბადაგი...
 ყურშას ლოგინი, ლოგინი—
 საბან-ბუმბული, ბუმბული...
 ყურშაო, ჩემო ყურშაო!
 აღმა ლომი ხარ, ლომი ხარ.
 ჩალმა კაკაფი, კაკაფი (კაკაბი),
 ხმელეთს ფალვანდი, ფალვანდი,
 ძულვას (ზღვაში) ხვამლანდი, ხვამლანდი (ხომალდი),
 ყურშაო, ჩემო ყურშაო!
 ყურშა ვიტირე, ვიტირე,
 ყურშა ვიგლოვე, ვიგლოვე
 ერთს წელიწადს, ერთს წელიწადს!

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
თამაზ გაბისონია
ლევან ვეშაპიძე

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2012

eISSN 1512-228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.

ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

www.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2012 წლის დეკემბერში